შეგრძნებები

მაღალი დონე

2

საკითხავი წიგნები ენისა და საგნის (ბუნებისმცოდნეობის) ინტეგრირებულ სწავლებაში მხარდასაჭერად მომზადდა „სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრის“ პროექტის "საზოგადოების ინტეგრაცია მულტილინგვური განათლების გზით“ ფარგლებში, რომელიც დაფინანსებულია ეუთოს ეროვნულ უმცირესობათა უმაღლესი კომისრის ოფისის მიერ.

ავტორები:

თამარ ჯაყელი, შალვა ტაბატაძე, ნათია გორგაძე
ნანა დალაქიშვილი, თინათინ ცერაძე, თამარ ანთაძე, ელენე ჯაჯანიძე

რედაქტორი

კახა გაბუნია

დიზაინერი

ილია ჭრელაშვილი

© „სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრი“ (CCIIR)

თბილისი
2019 წელი

შეგრძნებები

მაღალი დონე

შინაარსი

შენი შეგრძნობები 2
მხედველობა 4
სმენა 6
შეხება 8
გემო..... 9
ყნოსვა 13
დასკვნა 14

შენი შეგრძნებები

შენ ყნოსავ თივას და ბალახს.

შენ ჭამ გემრიელ ყველს.

შენ გესმის ძროხების ბღავილი.

შენ ხედავ პატარა ხბოს.

როგორ ხვდები, რომ ფერმაში ხარ? როგორ ხვდები, რა ხდება შენ გარშემო? ამას ხვდები შენი შეგრძნების ორგანოებით.

ადამიანს ხუთი შეგრძნების ორგანო აქვს. ისინი ერთად მოქმედებენ და აგროვებენ ინფორმაციას შენს გარემოზე. ისინი გაფრთხილებენ, გეხმარებიან და გასწავლიან.

მხედველობა

თვალები მხედველობის ორგანოა. თვალები ფოტოკამერას ჰგავს. ისინი ფოტოს უღებენ ყველა ნივთს, ყველა საგანს.

თვალები გეხმარება გადასასვლელზე. თვალებით ხედავ მანქანას და ფრთხილად იქცევი გადასასვლელ-ზე: შუქნიშნის მწვანე ფერზე გადადიხარ, წითელ ფერ-ზე ჩერდები.

თვალები გეხმარება საგნების პოვნაში.

თვალები გეხმარება ფორმების, ფერებისა და ზომების გარჩევაში.

მათემატიკის გაკვეთილზე თვალების დახმარებით შეგიძლია გაზომო სიგრძე.

ბუნების გაკვეთილზე თვალების დახმარებით შეგიძლია იპოვო ქვეყანა გლობუსზე.

სმენა

ყურები სმენის ორგანოა. ხმა ისმის ჰაერში და მოდის შენს ყურამდე.

ყურით ისმენ ლაპარაკს. შენ შეგიძლია უსმინო მასწავლებელს კლასში. შენ შეგიძლია უსმინო კლასელს სკოლის დერეფანში. შენ შეგიძლია უსმინო დედას და მამას სახლში. შენ შეგიძლია უსმინო მეგობარს ეზოში.

ყურები გეხმარება ხმების მოსმენასა და გარჩევა-ში. სპორტულ დარბაზში შენ გესმის სასტვენის ხმა. ტყეში შენ გესმის ჩიტების ჭიკჭიკი, მგლის ყმუილი.

შეხება

კანი შეხების ორგანოა. კანით გრძნობ შეხებას. კანით შეიგრძნობ, რომ ქვაბი ცხელია და ხელს აღარ ჰკიდებ მას. კანით შეიგრძნობ ბასრი ნემსის ჩხვლეტას. კანით შეიგრძნობ კატის კნუტის ფუმ-ფულა ბეწვს. შეგ-რძნება გეხმარება ტანსაცმლის შერჩე-ვაში. შენ შეგიძლია შეარჩიო ტანსაცმე-ლი ზამთარში, ზაფხულში, შემოდგომაზე, გაზაფხულზე. როცა შენ გარშემო ცივი ჰაერი ტრიალებს, მაშინ თბილად იცვამ. როცა ცხელა, მაშინ თბილ ტანსაცმელს იხდი. როცა კანზე წვიმის წვეთები გეცემა, ქოლგას შლი.

გემო

ენა გემოვნების ორგანოა. შენ შეგიძლია გაარჩიო ყველი პურისგან, ჯანსაღი საკვები - გაფუჭებულისგან. ამაში ენა გეხმარება. ენით შეგიძლია შეიგრძნო მწარე, მარილიანი და ტკბილი გემო, შეარჩიო საყვარელი საკვები.



ყნოსვა

ცხვირი ყნოსვის ორგანოა. დახუჭე თვალები და შეისუნთქე ცხვირით. ფერმაში შეგიძლია იგრძნო ცხოველებისა და ფრინველების სუნი, ტყეში შეგიძლია იგრძნო მცენარეების სუნი, ბუფეტში შეგიძლია იგრძნო საკვების სუნი. როცა ცუდ სუნს გრძნობ, სხვა ადგილზე მიდიხარ. კარგი სუნი მოგწონს და გიზიდავს.



დასკვნა

შეგრძნების ხუთი ორგანო სხვადასხვა ინფორმაციას გაწვდის შენს გარემოზე. შენ აგროვებ ამ ინფორმაციას და ღებულობ გადაწყვეტილებას.

შეგრძნების ორგანოებით ინფორმაციას ღებულობ და სწავლობ.